

# ყვარლი

გამოდის 1932 წლიდან

ფასი 40 თეთრი

## ყვარლის მუნიციპალიტეტს კიდევ ერთი ღვინის საწარმო შეემატა



ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ შილდაში, „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში, უახლესი ტექნიკით აღჭურვილი, ყურძნის გადამამუშავებელი საწარმო – „აგრიდა“ გაიხსნა. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ლაბორატორიითა და ცისტერნებით აღჭურვილი ქარხანა, სრული დატვირთვის პირობებში 1200 ტონამდე ყურძენს გადაამუშავებს. ღვინის საწარმო მიმდინარე რთველის პროცესში ჩართვას და მოსახლეობისგან ყურძნის შესყიდვას ვეგმავს.

საწარმოს გახსნას ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ სესიაშვილი, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი ირაკლი ქადაგიშვილი, გუბერნატორის მოადგილე გივი მეტრეველი, ლავოდეხისა და ყვარლის მაჟორიტარი დეპუტატი გურამ მაჭარაშვილი ესწრებოდნენ. საწარმო „აგრიდა“ შეიქმნა შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში, რომლის ღირებულებამ 1,2 მილიონი ლარი შეადგინა.

## მარიამოზა ბრანდიოზულ მასშტაბებში აღინიშნა



ყვარლის მუნიციპალიტეტში წარმატებულად ჩატარებული რელიგიური დღესასწაულების ფინიშზე მარიამოზა იზიემეს გრემელემა და ენისლელებმა უამრავ სტუმართან ერთად.

აღნიშნული დღესასწაული ათეული წლების წინათ მარიამ ღვთისმშობლის სახელობის სალოცავთან იმართებოდა და მიმდებარე ტერიტორიის სისუფთავეზე და კეთილმოწყობაზე ეკლესიისადმი სიპატიით განწყობილი ადამიანები ზრუნავდნენ.

ათეისტი კომუნისტების მოღვაწეობის პერიოდში, როცა სარწმუნოების წინააღმდეგ ახალი ტალღა აგორდა (იგულისხმება ე. შვევარდნაძის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნობის პერიოდი) მაგნე ნესჩუელებებისა და ტრადიციე-

ბის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლა ნაშინაყს. მაშინ ბევრი საეკლესიო დღესასწაული გააუქმეს, ხოლო მარიამოზის ნაცვლად „გრემ-ქალაქობის“ დღესასწაული დააწესეს, რადგანაც აკრძალვის მიუხედავად ხალხი მაინც გამოდიოდა და სალოცავის წინაშე ვალს იხდიდა. „გრემ-ქალაქობას“ კი მთავარ-ანგელოზის მიმდებარე ტერიტორიაზე მიუჩინეს ადგილი. საქართველოს დამოუკიდებლობის წლებშიც კვლავ ეს ადგილი იყო ამორჩეული, სალოცავთან კი მხოლოდ მორწმუნენი მიდიოდნენ და სანთლებს ანთებდნენ.

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ სესიაშვილმა ტრადიცია დაარღვია და დღესასწაულის აღნიშვნის ადგილად მარიამ ღვთისმშობლის სალოცავის ტერიტორია გამოაცხადა. შესაბამის სამ-

სახურებს კი დაავალა ეკალ-ბარდებისგან გაენიშნა ტერიტორია და მოეწყოთ საჭიდაო მოედანი.

28 აგვისტოს, მართლაც ცივილურ გარემოში და გრანდიოზულ მასშტაბებში აღინიშნა მარიამოზა, უამრავმა ადამიანმა მოინახულა სალოცავი, დაანთეს სანთლები და ყოვლისშემძლე წმინდა ქალწულს ქვეყანაში მშვიდობის დამკვიდრება, ხალხის კეთილდღეობა და ოჯახების ბარაქიანობა შეევედრეს.

დღესასწაული კი დაამშვენა ქართულმა ჭიდაობამ, რომელშიც კახეთის მუნიციპალიტეტებიდან ჩამოსულმა ფალავნებმა მიიღეს მონაწილეობა.

მარიამოზის დღესასწაულზე გამართულ ქართულ ჭიდაობაში გაიმარჯვეს შემდეგმა მოჭიდავეებმა:

### 50 კგ. წონით კატეგორიაში

- 1. ხარებშილი გოგი – ყვარელი
- 2. ლუხოშვილი ჯაბა – ახალსოფელი
- 3. ხახუტაშვილი დავით – გრემი

### 60 კგ. წონით კატეგორიაში

- 1. კუპატაძე ირაკლი – საგარეჯო
- 2. გაგნიძე კახა – ახალსოფელი
- 3. ბაზახიშვილი დავითი – თელავი

### 66 კგ. წონით კატეგორიაში

- 1. ჭიკაძე ნიკო – ახმეტა
- 2. ტალახაშვილი თორგი – თელავი
- 3. კორაშვილი გიორგი – ახმეტა

### 73 კგ. წონით კატეგორიაში

- 1. ბაზახიშვილი მიხეილ – თელავი
- 2. დიდუბაშვილი გიორგი – წინადალი
- 3. ცერცვაძე ვალერი – ახალსოფელი

გაგრძელება მე-2 გვ. -ზე



## მსოფლიო ჩემპიონები „ილიას ტბაზე“

4 სექტემბერს, ყვარელში, ილიას ტბაზე ჩატარებული საქარაკო მატჩი მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონებს – ნონა გაფრინდაშვილსა და მაია ჩიბურდანიძეს შორის ფრედ დასრულდა.

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის და „მეღვინეობა ხარება“-ს ორგანიზებით 43-ე მსოფლიო საქარაკო ოლიმპიადის ფარგლებში კიდევ ერთი ლამაზი დღე შედგა! ისტორიული შეხვედრის გამეორება კახეთში, რომელიც 40 წლის წინ აფხაზეთში, ბიჭვინთაში გაიმართა.

### ნონა გაფრინდაშვილსა და მაია ჩიბურდანიძეს შორის მატჩი – „40 წლის შამადა“

საქარაკო დღე „მეღვინეობა ხარება“-ს ყვარლის გვირაბში საქართველოს ჭადრაკის ფედერაციასა და „მეღვინეობა ხარებას“ შორის სასპონსორო ხელშეკრულების გაფორმებით დასრულდა. ასევე გაფორმდა შეთანხმება ნონა გაფრინდაშვილს, მაია ჩიბურდანიძესა და „მეღვინეობა ხარებას“ შორის, რის მიხედვითაც 2018 წელს კომპანია ლიმიტირებულად ჩაასახმს სპეციალურად ნონა გაფრინდაშვილისთვის და მაია ჩიბურდანიძისადმი მიძღვნილ ეტიკეტირებულ ღვინოს.



## ...წინსვლა, წარმატებები არ მოკლავოდეს სრულიად საქართველოს ყველა მოს- წავლესა და მასწავლებელს

17 სექტემბერს, ჩვენი ქვეყნის საჯარო სკოლებში, ახალი სასწავლო წელი იწყება. რამდენადაც ცნობილია, მრავალი სიახლე ელოდებოდა მოსწავლეებს 2018-2019 სასწავლო წლისათვის. კონკრეტულად, თუ რას ეხება ეს ცვლილებები, ამასთან დაკავშირებით, გთავაზობთ ტრადიციულ საექტემბრო ინტერვიუს, ყვარლის მუნიციპალიტეტის რესურს-ცენტრის უფროსთან, ქალბატონ ქეთევან ჭიპაშვილთან.

–ქალბატონო ქეთევან, როგორ ხედება ყვარლის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში ახალი სასწავლო წლის დადგომას, რა სიახლეები დახვდებათ მოსწავლეებს.. საუბარია ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის შესახებ. რა ხდება ამ მხრივ და რას გულისხმობს ეს ცვლილებები?

–საზოგადოებას კარგად მოეხსენება, რომ ძალიან დიდი ცვლილებები დანაწყო განათლების სისტემაში. სანამ უშუალოდ ამ საკითხებზე ვისაუბრებდეთ, მინდა, მივულოცო ყველა იმ ახალგაზრდას, რომლებიც სტუდენტები გახდნენ და ცხოვრების ახალი ეტაპი ელოდებოდათ წინ.

ახალი 2018-2019 სასწავლო წელი ყვარლის მუნიციპალიტეტის (21 საჯარო

სკოლა) საჯარო სკოლებში 17 სექტემბერს დაიწყო. ოცდაერთი საჯარო სკოლა განახლებული და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურით ხვდება ახალი სასწავლო წლის დაწყებას. სიახლეები ძალიან ბევრია, გამოყოფილი მნიშვნელოვანს: წელს ახალი სახელმძღვანელოები შემოვიდა პირველ-მეექვსე კლასებში, რადგან შეიცვალა ეროვნული სასწავლო გეგმა, განახლდა სასწავლო პროგრამები და ამაზე დაფუძნებით მოზადდა სასკოლო სახელმძღვანელოები. ჩვენს სკოლებში, უკვე შეტანილია და 1-6 კლასის მოსწავლეებს ახალი სახელმძღვანელოები ელოდებოდათ. ასევე, 7-12 კლასის სახელმძღვანელოებიც ყველა მოსწავლეს უკვე დაკომპლექტებულია. მასწავლებლების საყურადღებოდ მინდა აღვნიშნო, რომ სახელმძღვანელო არის მაინც ერთ-ერთი რესურსი და პედაგოგს შეუძლია გამოიყენოს სხვა მრავალფეროვანი რესურსები თავისი შეხედულებისამებრ, მოსწავლეების საჭიროებებიდან გამომდინარე. მნიშვნელოვანია, რომ პედაგოგი ამ ერთ სახელმძღვანელოზე არ იყოს მიჯაჭვული. ახალი ეროვნული სასწავლო

გაგრძელება მე-3 გვ. -ზე











# გასაკითხელი საქმე ჯერ კიდევ ბევრია

კარგა ხანია რაც დურუჯის, ამ საშიში მდინარის ხეობაში ბულონურები და მუშახელი მუშაობს; მისი ნაპირსამაგრი და მუშახელი მუშაობის მიერ მოტანილი ნაშაღის განმეორების სამუშაოები დღემდე მიმდინარეობს. ყვარლის მოსახლეობას უნდა, რომ მდინარე ერთხელ და სამუდამოდ მოექცეს „არტახებში“ ისე, რომ მშვიდობიანად დაიძინონ და გაიღვიძონ. დღეისათვის ბულონურები და მუშახელი დურუჯის ახალი კალაპოტის მშენებლობით არიან დაკავებული. ამდენი მშენებლობებისა და განმეორებითი სამუშაოების მერე, როგორც ამბობენ: დურუჯისგან საფრთხე აღარ გვემუქრება, მაგრამ გასაკეთებელი თურმე, ჯერ კიდევ ბევრია. ყვარლის გვერდით მდებარე დურუჯის ხეობაში მიმდინარე სამუშაოების შესახებ უფრო ვრცლად გვესაუბრება დურუჯის პროგრამებისა და პრობლემების კოორდინატორი, საერთაშორისო ორგანიზაცია „დურუჯის“ დირექტორი ბატონი ალექსი ბაიდოშვილი.

**– ბატონო ალექსი, როგორც ამბობენ მართლაც ასეა, რომ დურუჯის საფრთხე აღარ არსებობს?**  
– მთლად ასე არ არის. მოდით დავიწყოთ დურუჯის შესახებ წარსულიდან, რომელმაც რამდენიმე

დობას, მან მატერიალური ზიანის გარდა გამოიწვია დიდი მსხვერპლი.

2003 წლის ზაფხულში მდინარის უეცარი წყალმოვარდნის დროს მდინარის ქვედა ნაწილში გაირღვა როგორც მარცხენა, ასევე მარჯვენა ქვიშის დამცავი ზვინულები (ე.წ. დამბები), რის შედეგადაც სერიოზული ზიანი მიაღწია სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს. განადგურდა ათეულობით ჰექტარი ვენახი და სახნავ-სათესი ნაკვეთები. სერიოზული ზიანი ნახეს მესაქონლეობის ფერმებმა. ასევე მთლიანად წაღეს მდინარის დასავლეთით მდებარე თევზის ტბორები.

რაც შეეხება თქვენს მიერ დასმულ კითხვას საფრთხის შესახებ, გეტყვით, რომ გარდა ზემოთ აღნიშნული სელოური ნაკადის საფრთხისა, მდინარის ხეობის ალპურ ზონაში მიმდინარე მენყურული პროცესები გვაძლევს საფუძვლს იმისა, რომ განვსაზღვროთ ვიმაგალში მოსალოდნელი საფრთხეები. კერძოდ: შავი დურუჯის ჩრდილოეთი კედელი განიცდის ინტენსიურ მენყურულ წვრთვას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მდინარე სიმურის ერთ-ერთი შენაკადის (რომლის სიგრძეც 2,5კმ – ია) მიმართული მსხვერპლი. შავი დურუჯის მიმართულებით.

ტუაციებში რეაგირებისა და მდინარე დურუჯთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლა, რაზეც ჩვენი მხრიდან მოხდა ამომსურავი ინფორმაციის მიწვდა, ხოლო 2016 წლის 1 ნოემბერს სასტუმრო „შატო ყვარელში“ ჩატარდა კონფერენცია, სადაც შეჯამებულ იქნა ზემოთ აღნიშნული პროგრამის მიმდინარეობა.

საგანგებო სიტუაციების რეაგირების გეგმიდან გამომდინარე შსს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტთან, გარემოს დაცვის სააგენტოსთან, პოლიციის დახმარების ფონდთან ერთად მუნიციპალიტეტში მოეწყო ტრენინგები, რომელიც ჩატარდა სამ ეტაპად. ტრენინგებზე მომზადდა მოხალისე მამულები, ექიმები სასწრაფო პირველადი სამედიცინო დახმარების განევის ხაზით. ასევე მომზადდა ილიას ტბაზე მყოფი მამულები და მათ გადაეცათ სამაშველო ინვენტარი. ამავე ჯგუფმა ტრენინგი ჩატარა საგანგებო სიტუაციების რეაგირების შტაბის წევრებს. შემუშავებული იქნა საგანგებო სიტუაციების რეაგირებისა და საევაკუაციო გეგმები. ნოთელ ჯვართან ერთად მოეწყო წყალდიდობის დროს სამაშველო სამუშაოების სიმულაცია.

კრიზისულ სიტუაციაში საჭიროა ქალაქის მოსახლეობას ჰქონდეს ინფორმაცია საევაკუაციო გეგმის, ადგილისა და მოქმედების შესახებ. ჩემი აზრით საჭიროა მოსახლეობისათვის დამზადდეს საინფორმაციო ბუკლეტები სადაც დართული იქნება საევაკუაციო რუკა, საევაკუაციო მიმართულებები და ადგილები.

რამდენადაც ადგილების შემთხვევაში ზიანის მოტანა შეუძლია დურუჯს, იმდენად შესაძლებელია მდინარე დურუჯის ჩამონატანი თხაფიქლების საწარმოო გამოყენება:

მდინარის მყარი ჩამონატანის გამოყენება საწარმოო დანიშნულებით მრავალმხრივია. აღნიშნულ საკითხზე არსებობს მეცნიერული კვლევები, შედგენილია მთელი რიგი ბიზნეს-პროექტები და დაფინანსების შემთხვევაში აქვს დიდი პერსპექტივა. კერძოდ, შესაძლებელია მისი გამოყენება კერამიკაში, მინის წარმოებაში, თბოიზოლაციურებისა და ელექტროზოლაციურების დასამზადებლად, სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით სასუქების წარმოებისათვის. მეცნიერულად ასევე დადასტურებულია, რომ ყველაზე ფართოდ მისი გამოყენება შესაძლებელია ცემენტის წარმოებაში შემავსებლად. იმის გამო, რომ მუნიციპალიტეტი არის ქინძარაულის ზონა და ამ ტერიტორიაზე ცემენტის წარმოება დაუშვებელია, ამიტომ მიზანშეწონილია ამ მასის ტრანსპორტირება ცემენტის ქარხნებში. ტრანსპორტირების ხარჯების გათვალისწინებით საჭიროა სულ 10 კმ. სიგრძის რკინიგზის ხაზის მშენებლობა.

ამჟამად მიმდინარეობს ახალი პროექტისათვის მზადება, რომელიც გაითვალისწინებს მდ. დურუ-



ალექსი ბაიდოშვილი

ჯის ნატანის სასარგებლო სამრეწველო დანიშნულების რეკლამირებას და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მონაწილეს.

**– რა მდგომარეობაშია დღეს სასიგნალო აპარატურა, რომელიც კარგა ხანია დამონტაჟებულია დურუჯის ხეობის სათავეში და სტიქიის შემთხვევაში უნდა მოხდეს მოსახლეობის ევაკუირება. ვინ იქნებიან ჩართულნი ამ სასიგნალო აპარატურის ამოქმედების შემთხვევაში?**

– პირველი წინასწარი გაფრთხილების სასიგნალო სისტემა მდინარის ხეობაში დამონტაჟებული იქნა გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში, რომელიც ექსპლუატაციაში იყო სულ ორი ათეული წელი. 2014-2015 წლებში ხეობაში დამონტაჟდა წინასწარი გაფრთხილების თანამგზავრული სისტემა, რომელიც შედგება ხეობაში განთავსებული ზედა და ქვედა სადგურებისაგან და სასიგნალო დანადგარებისაგან, რომელიც დამონტაჟდა ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის სახურავზე. სისტემა სპეციალური საიტის მეშვეობით, რომელზეც წვდომა აქვს გარემოს დაცვის სააგენტოს და ადგილობრივ მუნიციპალიტეტს, გვაძლევს ინფორმაციას წყლის დონეების, ატმოსფერული წნეების, ტემპერატურის, ხეობაში არსებული ატმოსფერული წნეების და ჰაერის ტენიანობის შესახებ. ზედა და ქვედა სადგურებს შორის წნევის სხვაობის სიდიდე გვაძლევს საშუალებას განვსაზღვროთ ხეობაში ქარის მიმართულება და სიჩქარე. აღნიშნული სისტემის განთავსებაში მონაწილეობდნენ შინაგან საქმეთა სამინისტრო, გარემოს დაცვის სააგენტო და ყვარლის მუნიციპალიტეტი. პროექ-



შავი კლდე

ათეული წლის წინ მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეინარა.

მდ. დურუჯი სათავეს იღებს კავკასიონის სამხრეთ ფერდობიდან, ჩამოედინება ქ. ყვარლის დასავლეთით და უერთდება მდ. ალაზანს. მდ. დურუჯი გამოირჩევა უეცარი წყალმოვარდნით და სელოური ნაკადით. მისი წყალშემკრები აუზი შედგება 8 ძირითადი შენაკადისაგან, ხოლო მათგან სელოური ნაკადის წარმოქმნაში მთავარ როლს თამაშობს თეთრი და შავი დურუჯების შენაკადები.

მდ. დურუჯი წარმოშობს ორ ძირითად პრობლემას. პირველს და უმთავრესს წარმოადგენს სელოური ნაკადი, რომელსაც გააჩნია დიდი დამანგრეველი ძალა, ხოლო მეორეა მყარი ნატანის მასა, რომელიც აკუმულირდება მდინარის გამოტანის კონუსიდან ალაზნის შესართავამდე, რაც იწვევს კალაპოტის ნიშნის ზრდას. ამ პრობლემების გადასაწყვეტად შემუშავებული და განხორციელებული იქნა სხვადასხვა ჰიდროტექნიკური პროექტები: სელოური მასის შესაჩერებლად 1970 – იანი წლების დასაწყისში დამონტაჟებული იქნა 308მ. სისქის ფოლადის ბაგირის ბადე. 70-იანი წლების მეორე ნახევარში კი მოეწყო ე.წ. ხერხეულიძის ბეტონის გამჭოლი კაშხლები. ქვედა კაშხლის სიმაღლე იყო 30მ, ხოლო ზედასი 10მ. 1949-52 წლებში ქ. ყვარლის გასწვრივ აშენდა 5კმ. სიგრძისა და 8მ. სიმაღლის დამცავი კედელი. აღნიშნული ჰიდროტექნიკური ნაგებობებიდან ფოლადის ბაგირის და გამჭოლი ბეტონის კაშხლების მხოლოდ საძირკვლებია დარჩენილი, ხოლო ზემოთ აღნიშნული კედლის სიგრძის 2/3 მთლიანად ნატანის ქვეშა მოქცეულია, ხოლო მისი ზედა 1/3 ნაწილიდან კი 2-3 მეტრიდან დარჩენილი, რომელიც თავის მხრივ ნაწილობრივ დანგრეულია, ხოლო დარჩენილი ნაწილი ამორტიზებული. 2017 წლის ზაფხულში განხორციელდა კედლის ზედა ნაწილის აღდგენითი სამუშაოები, კერძოდ: კედელს გაუკეთდა 900-მეტრი სიგრძის, 6 მეტრი სიმაღლისა და საშუალოდ 0,8 მეტრი სიგანის რკინაბეტონის კედელი.

რაც შეეხება მყარ ნატანს, გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ხდებოდა მდინარის ხეობის მყარი ნატანისგან განმეორება, რომლის რაოდენობაც წელიწადში 0,5 მილიონი კუბ/მ. შეადგენდა. დღეის მდგომარეობით ქალაქის მიმდებარე ხეობის ნაწილში დაგროვილია 10 მილიონ კუბ.მეტრზე მეტი მყარი ნატანი 1992 წლის ნიშნულთან შედარებით. 20017-2018 წელს განხორციელდა და კვლავ მიმდინარეობს ხეობის მასიური წმენდითი სამუშაოები და განმეორდა 2,5 მილიონი მოცულობის ნატანი.

მდ. დურუჯის მრავალჯერადი წყალდიდობებიდან თავისი მასშტაბებით განსაკუთრებით აღსანიშნავია 1904 და 1949 წლების წყალდიდობები, რომლებმაც განსაკუთრებით დიდი ზარალი მიაყენეს ყვარლის მოსახლეობას. 1904 წლის წყალდიდობის შემდეგ ილია ჭავჭავაძის თაოსნობით აშენებული იქნა 2კმ. სიგრძისა და 8მ. სიმაღლის პირველი დამცავი ქვითკირის კედელი, რომლის დღემდე შემორჩენილი ნაწილიც ისტორიული მემკვიდრეობის სტატუსს ატარებს. რაც შეეხება 1949 წლის წყალდი-

ეს გამოიწვევს წყლის ხარჯის ზრდას დურუჯის ხეობაში და ჩრდილოეთ კედლის მასშტაბურ წვრთვას. ასევე უნდა აღინიშნოს ე.წ. შავი კლდის, (რომლის სიმაღლეც 1000მ – ს აღწევს ხოლო ზედა ფუძის სიგრძე 900მ – ია) წვრთვის შედეგად მოსალოდნელი შავი დურუჯის შემკრები აუზის ზრდა.

ორგანიზაცია „დურუჯის“ ინიციატივით 2014 წლის 26 აპრილს ილია ჭავჭავაძის მუზეუმის სააქტო დარბაზში ჩატარდა საერთაშორისო ორგანიზაცია „დურუჯის“ ჯგუფის დამფუძნებელი კრება. დამფუძნებლებს შორის იყვნენ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის, კავკასიის რეგიონალური უსაფრთხოების ინსტიტუტის, გარემოს დაცვის, ინფრასტრუქტურის, შს სამინისტროების წარმომადგენლები. ასევე დიპ. კორპუსიდან უკრაინის, შვეიცარიის, ნიდერლანდების წარმომადგენლები. მეცნიერები, ბიზნესმენები, ყვარლის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები. ორგანიზაციის დაფუძნების მიზანი იყო დურუჯის პრობლემების შესწავლა, მათი გადაჭრის გზების ძებნა და ინერტული მასალის გამოყენება. საზოგადოება „დურუჯის“ მეშვეობით ჩატარდა მრავალი კონფერენცია როგორც ყვარელში, ასევე თბილისში, რომელსაც მასშინლობდა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. შედეგად დაგამყარეთ დაკავშირებული პოლიციის დახმარების ფონდთან და ნიდერლანდების სამეფოს ბიზნეს-ჯგუფებთან. 2016 წლის შემოდგომაზე კი აღნიშნული პროგრამის შესასრულად ყვარელს ესტუმრა ევროკავშირის ექსპერტთა ჯგუფი. მათი ინტერესი იყო ადრეული გაფრთხილების სისტემის ეფექტიანობის, საგანგებო სი-



თეთრი დურუჯის ხეობა



ასე გამოიყურებოდა 1949 წლის წყალდიდობის შემდეგ კავშირის ტერიტორია

ტი დაფინანსებული იქნა პოლიციის დახმარების ფონდის მიერ. ტექნიკურ ხარჯს უზრუნველყოფდა საერთაშორისო ორგანიზაცია „კვიტას გეო-გია“. სისტემას ექსპლუატაციას უზენეს გეოგომოს დაცვის სააგენტო და ყვარლის მუნიციპალიტეტი. რაც შეეხება დღეისათვის მის მდგომარეობას, მინდა გითხრა, რომ სასიგნალო სისტემა საჭიროებს განახლებას – აკუმულაციურების შეცვლას, რომელსაც დროული მიხედვა სჭირდება. ამ საკითხის გადასაწყვეტად მუნიციპალიტეტის მერია თანამშრომლობს გარემოს დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან. გასაკეთებელი საქმე დურუჯთან დაკავშირებით მართლაც ბევრია, აღნიშნა ჩვენთან საუბარში ბატონმა ალექსიმ და იმედოვნებს, რომ რაიონის ხელმძღვანელობის და მოსახლეობის თანადგომით შესაძლებელი იქნება მდინარე დურუჯის, ამ საშიში მდინარის მართლაც „არტახებში“ მოქცევა და ყველა მასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრა.

ესაუბრა  
დალი ტატულიშვილი

სხვა ფოტოებთან ერთად გთავაზობთ ერთ-ერთი თვითმხილველის მიერ გადაღებულ 1949 წლის წყალდიდობის ამსახველ უნიკალურ ფოტოს, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია და რომელმაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეინარა.



# გილოცავ, პატარავ!

რამდენიმე დღეში სად არ დაირეკება სექტემბრის ზარი. ვის მოუხმობს? – კიკინებთან გოგონებს და ქორწინებულ ბიჭუნებს. ეს დღე განსაკუთრებით ამაღლებულია პირველი კლასელებისთვის. ისინი ხომ ცხოვრების დასაწყისში დგანან. სამომავლო გზა ზოგისთვის ეკალ-ბარდიანი იქნება, ზოგისთვის ია-ვარდით მოფენილი. უფალს ვთხოვ, ჩემო სიხარულო, პატარა გიორგი ტაკიძე, რომ შენ და შენს თანატოლებსაც სულ ია-ვარდით მოფენილ გზაზე გველოცო.

გილოცავ, ჩემო პატარავ, ჩემო სიხარულო და თვალის ჩინო, ცხოვრებაში პირველი ნაბიჯის შედგმას. მუდამ გვახარებდე შენი კარგი სწავლითა და ყოფაქცევით.

არ დაგავიწყდეს, რომ შენ, სამშობლოს ნორჩი კვირტი ხარ, შენმა და შენი თანატოლების ხელეშმა უნდა აშენოს მომავალი. იყავი შენი სამშობლოს დიდი იმედი. უკუღმა არავის დააფარცხენით, რაც წინაპრებმა დახნეს, დაბარეს.

შენი ბებო  
ზინა კუპრაშვილი-ოთიაშვილი

# ცოტა რამ რქეშავა პროდუქტების შესახებ



ყველამ ვიცით, რომ რძეს თუ სითბოში გაგაჩერებთ, ამჟავდება. თუმცა, იმის მიხედვით, თუ რომელი მიკროორგანიზმები გამოავლდა ამ დროს რძეში, ამჟავებული პროდუქტი შესაძლოა ან საზიანო გამოვიდეს, ან ძალიან გემრიელი და სასარგებლო.

ი.ე. „რძეშავა პროდუქტების“ მომზადება შემდეგნაირად ხდება-შემთხვევით შეიქმნება სპეციალურად შერჩეული, სასარგებლო მიკროორგანიზმების კულტურა („ადეო“), რომლებიც გამრავლებისას ახდენს რძის შემადგენელი კომპონენტების გარდაქმნას გემრიელ და უფრო ადვილად ასათვისებელ ნივთიერებად.

ასე კეთდება მანონი, იოგურტი, კეფირი, არაჟანი, ხაჭო და სხვა პროდუქტები – მსოფლიოში სხვადასხვა დასახელების ასობით რძეშავა პროდუქტი ინარჩუნება.

ყველა რძეშავა პროდუქტი სასარგებლოა. ყოველი მათგანი ხასიათდება მაღალი კვებითი ღირებულებით, სასიამოვნო გემოთი და ადვილად ათვისების უნარით. ამასთან ერთად ეს პროდუქტები ისევე მდიდარია სრულფასოვანი ცილებით, კალციუმით, ფოსფორით და სხვა მინერალური ნივთიერებებით, როგორც რძე.

როგორც ხალხური, ასევე თანამედროვე მედიცინა ამტკიცებს, რომ რძეშავა პროდუქტების სისტემატიური მიღება აუმჯობესებს ჯანმრთელობას და ახანგრძლივებს სიცოცხლეს. უკვე რამდენიმე კვირაში ნაწლავებში წყდება ლპობის პროცესები, ხდება ლვილითა და თირკმელების მუშაობის გაუმჯობესება.

განსაკუთრებით კარგი შედეგები მიიღწევა დისბაქტერიოზის, შეუვლოლობის, კოლიტის და მძიმე მეტაბოლური მოწინაველის დროს. რძეშავა პროდუქტები სასარგებლოა როგორც ბავშვებისათვის ასევე ნებისმიერი ასაკის ადამიანებისათვის.

ყოველივე ამის მიზეზი ის არის, რომ შედეგების პროცესში დედის მიკროორგანიზმების გავლენით რძეში მიმდინარეობს ჩვენი ორგანიზმისათვის სასარგებლო გარდაქმნები:

- ნაწილობრივ იხლინება რძის ცილები, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ორგანიზმის მიერ მათ შთითვისებას: ასევე, რძის ცილების შთითვისება 1 სთ-ის განმავლობაში არ აღემატება 32%-ს, რძეშავა პროდუქტების ცილების შთითვისება კი იგივე დროის განმავლობაში 91% – ის ტოლია;

- იშლება რძის შაქარი – ლაქტოზა, რომელიც ასაკოვანი ადამიანებისთვის ძნელი ასათვისებელია. ამის გამო რძეშავა პროდუქტები, რძისაგან განსხვავებით, კარგად ათვისება ყველა ასაკის ადამიანის მიერ;

- შედეგების პროცესში წარმოიქმნება რძეშავა, რომელიც ანტიბიოტიკებს ლპობის ბაქტერიების განვითარებას და ხელს უწყობს ნაწლავების ნორმალური, ორგანიზმისათვის სასარგებლო ბაქტერიების განვითარებას, მათ შორის ბიფიდობაქტერიებისას, რომლებიც ანადგურებენ დაავადების გამომწვევ მიკროორგანიზმებს. იცავენ ნაწლავების ლორწოვან გარს ავადმყოფობის გამომწვევი მიკრობებისაგან;

- რძეშავა ხელს უწყობს ორგანიზმის მიერ კალციუმის, რკინისა და ფოსფორის შთითვისებას. ამის გამო რძეშავა პროდუქტები აუცილებელია ანემიითა და რაქითით დაავადებული ბავშვებისათვის;

- შედეგებულ პროდუქტში მატულობს ჯგუფის ვიტამინების რაოდენობა, განსაკუთრებით ვიტამინ 2-ს;

- შედეგების (ფერმენტაციის) პროცესში გამოიშვება ბუნებრივი ანტიბიოტიკები, რომლებიც თრევანენ ზოგიერთი დაავადების გამომწვევ მიკროორგანიზმებს, მათ შორის ტუბერკულოზის გამომწვევ ჩიირებსაც;

თუმცა ზემოთ აღწერილი სამკურნალო თვისება მხოლოდ „ცოცხალ“ პროდუქტს გააჩნია – ანუ პროდუქტს, რომელიც თერმულად დამუშავებული (პასტერიზებული) არ არის და დედოს მიკროორგანიზმები მასში ცოცხალია. ასეთ პროდუქტებს შედარებით მოკლე შენახვის ვადა აქვს (არა უმეტეს 2 კვირისა მაქვირის პირობებში) – ცოცხალი მიკროორგანიზმები პროდუქტში ცხოველქმედებას განაგრძობენ, ამიტომ შენახვისას პროდუქტი თანდათან მჟავდება და საშიშვლოდ თვისებებს მალე კარგავს.

თუ გსურთ, რომ რძეშავა პროდუქტებმა მაქსიმალური სარგებლობა მოგიტანოთ, მათი არჩევისას უნდა შევიცადოთ სწორედ ასეთი, „ცოცხალი“ პროდუქტი შევიძინოთ.

ხშირად, პროდუქტის ეტიკეტზე მითითებულიც არის, რომ იგი ცოცხალ ბაქტერიებს შეიცავს. თუმცა ამის გარკვევა სხვაგვარადაც შეიძლება – ნაიკითხეთ ეტიკეტზე არის თუ არა პროდუქტი პასტერიზებული და რამდენი აქვს შენახვის ვადა. თუ პროდუქტს ანერია, რომ იგი პასტერიზებულია, ან მისი შენახვის ვადა 1 თვეზე მეტია – ეს პროდუქტი ცოცხალ ბაქტერიებს ნამდვილად არ შეიცავს და ზემოთ აღწერილ სამკურნალო თვისებებს მისგან წყვეტილი. მოკლე შენახვის ვადას (2 კვირამდე) პროდუქტში შემაღლებული მიკროორგანიზმები, როგორც წესი, ცოცხალია.

მიუხედავად იმისა, თუ რა ანერია პროდუქტს, თქვენ ძალიან იოლად შეგიძლიათ სახლში გადაამოწმოთ, „ცოცხალია“ ის თუ არა – უბრალოდ გახსნით პროდუქტი და გააჩერეთ ოთახის ტემპერატურაზე 2-3 დღე. თუ ის ამჟავდა – ეს ნიშნავს, რომ მისი შემაღლებული მიკროორგანიზმები ცოცხალია. თუ სიმჟავე არ შეიცვალა და პროდუქტმა უბრალოდ ობი მოიკიდა – ეს პროდუქტი „კვდარი“.

სამწუხაროდ სამომხმარებლო ბაზარზე აგრეთვე იყიდება რძეშავა პროდუქტების ფალსიფიკაციები – პროდუქტები, რომელიც დამზადებულია სხვადასხვა შემასქვლებლების, უცხო ცხიმების, დამატკობლების შერევით.

დამზახსიათებელი გემოს მისაცემად ასეთ პროდუქტს უმატებენ რძეშავას, სხვადასხვა არომატოზატორებს, ზოგჯერ რძეშავა ბაქტერიებსაც. ასეთი პროდუქტი შესაძლოა გემრიელი იყოს, მაგრამ სასარგებლო ის არ არის.

momxmarebeli.ge



# ტრენინგი პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით

დაზარალებულის პირველადი დათვალიერება

შეისწავლეთ დაზარალებულის ირგვლივ არსებული გარემო. თუ გარემო უსაფრთხოა:

1. შეამოწმეთ ცნობიერება

\* დაუსვით კითხვა: „რა მოხდა?“

ან უბრალოდ: „გაახილეთ თვალი!“

„ილაპარაკე ხმაშემა და გასაგებდ!“

\* შეეხეთ ხელით, ფრთხილად შეანჯღრიეთ დაშავებული (შესაძლებელია იყოს კისრის დაზიანება);

თუ დაშავებული გონზეა:

ჩაატარეთ პირველადი დათვალიერება; თუ დაშავებულს საფრთხე აღარ ემუქრება, დატოვეთ იმ მდგომარეობაში, რომელშიც ნახეთ და უხმით დახმარებას;

თუ დაშავებული უგონოა:

უხმით დახმარებას; დაზარალებული მოათავსეთ მყარ ზედაპირზე და შეამოწმეთ სასიცოცხლო ნიშნები (სუნთქვა, პულსი).

2. გახსენით სასუნთქო გზები:

\* დაათვალიერეთ პირის ღრუ; (პირის ღრუ უნდა იყოს თავისუფალი);

\* დააჩოქეთ დაშავებულის თავთან. დაადეთ ცალი ხელი შუბლზე, ფრთხილად გადაწვინეთ თავი უკან – პირი უნდა გაუღიოს.

მეორე ხელის თითის ბალიშებით წამოწმეთ დაშავებულის ნიკაპი ზემოთ.

3. შეამოწმეთ სუნთქვას თუ არა დაშავებული ნორმალურად:

\* შეინარჩუნეთ სასუნთქო გზების გამავლობა, უყურეთ გულმკერდის მოძრაობას, უსმინეთ და შეიგრძენით ნორმალური სუნთქვა 10 წამის განმავლობაში.

\* თუ დაზარალებული ნორმალურად სუნთქავს, შეამოწმეთ სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობები, როგორცაა მაგალითად სისხლდენა და შეაჩერეთ იგი.



რაც გულისხმობს გულმკერდზე 120 ზეწოლის განხორციელებას 1 წუთში.

შენიშვნა: თუ იცით როგორ განახორციელოთ გულ-ფილტვის რეანიმაცია ჩასუნთქვებით: განახორციელეთ 30 ზეწოლის და 2 ჩაბერვის (ხელოვნური სუნთქვა) ციკლი.

როგორ უნდა განახორციელოთ ზანთქაპი გულმკერდზე

\* ჩაიჩოქეთ დაშავებულის გულმკერდთან. ცალი ხელისგულის ფუძე დაადეთ დაშავებულს მკერდის ძვაზე, გულმკერდის ცენტრში. ხელის კორექტული მდგომარეობის განსაზღვრა შე-

იყვანეთ უსაფრთხო პოზიციაში (დაანვივინეთ გვერდზე და თავი გადააწვინეთ უკან).

როგორ შევასრულოთ ჩაბერვა (ხელოვნური სუნთქვა):

\* დაწმუნდით, რომ სასუნთქო გზები არის გამავალი; მუბლიდან (მშველეს ნიკაპიდან) ჩაიჭერეთ ნესტოებზე მოუჭირეთ (ცხრი და საჩვენებელი თითი

\* გააღებინეთ პირი

თუ გაპტო ნილაბი ან საფანი, გამოიყენეთ იგი

\* ჩაბერეთ დაშავებულს პირში 2-ჯერ, 5 წამის შუალედით მანამ, სანამ არ ამოიხილება გულმკერდის (მშველეს ტუჩები მჭიდროდ უნდა ეკვროდეს დაშავებულის პირს).

თუ უგონო მდგომარეობაში მყოფი დაშავებული დაიწყებს სუნთქვას ან აჩნდება პულსი საძილე არტერიაზე, გადაიყვანეთ უსაფრთხო პოზიციაში (დაანვივინეთ გვერდზე).

„დაზარალებულის პირველადი სამედიცინო დახმარება“ – ამ თემას მიეძღვნა ტრენინგი 5 სექტემბერს ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში, რომელსაც ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერიის და აიპების თანამშრომლები.

ტრენინგს უძღვებოდა საქართველოს ნოთელი ჯვრის საზოგადოების ყვარლის ინტეგრირებული დღის ცენტრის პირველადი სამედიცინო დახმარების ტრენერი მზია მზეხალაშვილი, რომელმაც კონკრეტული მაგალითების ჩვენებით ვრცლად ილაპარაკა პირველადი დახმარების აღმოჩენის თაობაზე.

ტრენინგს ესწრებოდა ნოთელი ჯვრის საზოგადოების მშვიდობის კორპუსიდან მოვლინებული მოხალისე ლორი ბენიანი, რომელიც ნოთელი ჯვრის საზოგადოების ყვარლის დღის ცენტრს ეხმარება პროგრამების შემუშავებასა და დახმარებების მოძიებაში.

საგულისხმოა, რომ ნოთელი ჯვრის საეთაპროსო მოძრაობა ცდილობს ადამიანებს თავიდან ააცილოს ან შეუმსუბუქოს გაჭირვება. ამავე დროს მოძრაობის მიზანია დაცვა ადამიანთა სიცოცხლე და ჯანმრთელობა, უზრუნველყოს მათი პირველადი ღირსების პატივისცემა. რაც მთავარია, ხელს უწყობს ხალხთა შორის მეგობრობის, ურთიერთგაგების, თანამშრომლობისა და მშვიდობის განმტკიცებას.

ალექს კაჭინიაძე



\* გადაიყვანეთ დაშავებული უსაფრთხო პოზიციაში (დაანვივინეთ გვერდზე და თავი გადააწვინეთ უკან); თვალყური ადევნეთ სუნთქვას.

\* თუ დაზარალებული არ სუნთქავს სთხოვეთ ვინმეს გამოიძახოს სასწრაფო დახმარება

\* შეამოწმეთ პულსი

\* სუნთქვის და პულსის არარსებობის შემთხვევაში (ან თუ ხართ დარწმუნებული პულსის არსებობაში) დაიწყეთ გულ-ფილტვის რეანიმაცია.

თუ დაშავებული არ სუნთქავს და არ შეიგრძნობა პულსი საძილე არტერიაზე, ან არ ხართ დარწმუნებული პულსის არსებობაში:

\* დაიწყეთ გულის არაპირდაპირი მასაჟი, გულ-ფილტვის რეანიმაცია (გფრ),

იძლება დაშავებულისთვის ტანსაცმლის გაუხდელად.

\* მეორე ხელისგული დაადეთ პირველ ხელს ზემოდან

\* სწორი მხრებით, იდაყვებში გაშლილი ხელებით, მოახდინეთ ზეწოლა ვერტიკალურად ზევიდან ქვევით დაშავებულია გულმკერდზე და ჩაზინქეთ დაახლოებით 5-6 სმ. სიღრმეზე. ხელები არ მოაცილოთ დაშავებულის გულმკერდს. აცადეთ გულმკერდს ამოხრება და გაიმეორეთ ზეწოლები.

\* განახორციელეთ 100 (მაქსიმუმ 120) ზეწოლა წუთში

განაგრძეთ გულ-ფილტვის რეანიმაციის განხორციელება სასწრაფოს მოსვლამდე ან სუნთქვის აღდგენამდე.

თუ უგონო მდგომარეობაში მყოფი დაშავებული დაიწყებს სუნთქვას, გადა-

# ზურაბ ჭავჭავაძე

სიონში დაიწყო მიახლოება ღმერთთან. ყველა წმინდანის მეხებით უფალს ავედრებდა საქართველოს. მის თვალთა სიღრმეში მომზირალი სული უხვად იღებდა სითბოს, სინათლეს და მადლს იესო ქრისტეს, მარიამ ღვთისმშობლისა და წმინდა გიორგის ხატებიდან, რადგან მაცხოვრის, ყოვლად წმინდა ქალწულისა და დიდმოწამე გიორგის თვალებიდან გამოხადენი სინონიდი იკვებებოდა, რაც ძლიერ სჭირდებოდა, ამტკიცებდა, ამაგრებდა, იმედითა და სასოებით ალაყვებდა. წმინდა ილია მართლის მიერ გაკვალულ ღვთიურ გზას მედგრად და ნიდავად იცავდა. სურდა, იღვწოდა ამ გზაზე ვარსა ქართველს, რომლის სიყვარულით, ერთგულებით, თავადებით დატყვევებული არ ზოგავდა თავს, არ იცოდა რა იყო გრძობა შიშისა და ამრიგად ცხოვრების უკუღმართობასაც ხშირად და იოლად ამარცხებდა თავისი ბრწყინავლე გონებისა და უდიდესი ნებისყოფის წყალობით. თავგამოდებით იცოდა ბრძოლა, საქართველოს ჭირ-ვარამის საკუთარ მხრებზე მოგდება და მუხლწაზურვლად ზიდავ ეცადა და შესძლო ყოველგვარი ამოსუნთქვის გარეშე. მრავალთათვის განკუთვნილი უმძიმესი ჯვარი მარტომ ატარა და რაოდენ სამწუხაროა, რომ თავი არ შეიცოდა და არც სხვებმა შეიცოდეს იგი. ბრბომ ზღვა ბალღამი და მხამი ჩაასხა სულში, მისი სიკარგე, სივაჟაკე, ნამდვილქართველობა კი ფეხით გათვალა, ვერ შეიშნო ღვთის მადლი მასზედ გარდმოვლენილი. ამიტომ ნაიყვანა უფალმა თავისთან კი ყმა, ჩვენ კი დავგიტოვა ნალველი და სანატრელად სანდო წინამძღოლი კაცი.

მერი პატარკლიშვილი  
18 აგვისტო, 1993 წ.









რობა. კასრისთვის მუხა უნდა შეირჩეს ფორიანობის, სტრუქტურის, პოლიფენოლებისა და არომატული ნივთიერების მიხედვით. ამ ყველაფერზე კი გავლენას ახდენს მისი გეოგრაფიული წარმოშობა, ნიადაგის ტიპი, კლიმატი, ტყის სიმჭირე და სხვ. უპირატესობა მშრალ, მთაგორიან ადგილებზე მოჭრილ მუხას ენიჭება. იგი მკვერივ და წვრილფორიანია.

დაბლობ ადგილებზე მოჭრილი მუხის ხის მერქანი მსხვილფორიანი და ნაკლებად მტკიცეა, ძლიერ უონვადია და ბევრსაც იძრობს. კასრის დასამზადებლად განკუთვნილ მუხის მასალას ღია ცის ქვეშ, დაახლოებით ორ წელი აჩერებენ. იგი შრება, კარგავს არასასიამოვნო, მწარე გემოს და იძენს შესანიშნავ სურნელს. შესაძლებელია, მუხის მასალის ფარდულში გაშრობაც, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მასალის ელექტროლუმულში, დაქარბული ნესით გამოშრობა.

ღვინის კასრის შეღებვა დაუმეგებელია – საღებავი ავსებს ფორებს და ზღუდავს მათში ფანჯადის მოძრაობას, რაც აუცილებელი პირობაა ღვინის დავარგებისთვის. ცარიელი კასრების ღია ცის ქვეშ შენახვა არ შეიძლება, რადგან ასეთ შემთხვევაში კასრი გამოშრება, დაკარგავს ჰერმეტიკობას და მალე დაიშლება. იმისათვის, რომ ცარიელ კასრებში შენახვისას ობის გამოშვები სოკო არ განვითარდეს, მათ თვე-თვენახევარში ერთხელ უნდა ჩაუბოლდეს გოგირდი, რის შემდეგაც კასრს უკეთდება საცობი.

გასათვალისწინებელია, რომ კასრის გამოსარეცხი წყალი უნდა იყოს აუცილებლად სუფთა და სასმელად ვარგისი. ღვინის შესანახი ხის ჭურჭელი ძნელი მოსავლელია, რაც შრომატევადია და მოითხოვს ზედმინივნი ცოდნასა და გამოცდილებას, რის გამოც ბევრმა მეღვინემ მის გამოყენებაზე უარი თქვა. თუმცა, ასეთ ჭურჭელში დაყენებული ღვინის განსაკუთრებული ხარისხის გამო, კასრების გამოყენების პრაქტიკა თანამედროვე მეღვინეობაში სულ უფრო და უფრო ფართოვდება.

გოგირდის ჩაბოლვა რეკომენდებულია ასევე, მინის ჭურჭელშიც. მიუხედავად იმისა, რომ მინის ჭურჭელი შენახვისა და გამოყენების მხრივ ძალზე პრაქტიკულია, ჰიგიენის წესების დაცვა აქაც მნიშვნელოვანია. სუტჩ ნერტილს წარმოადგენს მინის ჭურჭლის ხრანხიანი თავსახური, რომელსაც ხშირად უწოდებენ თვლით ძნელად შესაძენი ბზარი, რომელიც, შესაძლოა გახდეს ღვინის გაფუჭების მიზეზი.

მარანი და მისი ჰიგიენა მარანი წარმოადგენს როგორც ღვინის შესანახ, ასევე, მის დასადუღებელ და დასამუშავებელ ადგილს. მარანი უნდა იყოს გრილი, მას უნდა ჰქონდეს კარგი სავენტილაციო სისტემა და, სასურველია, საკანალიზაციო გაყვანილობები. იმისათვის, რომ მარანი მიღწეულ იქნეს ტექნოლოგიური პროცესებისათვის სასურველი ტემპერატურა (14-15 გრადუსი) და ჰაერის სასურველი ფარდობითი ტენიანობა (75-85%), მას ხშირად მინის სილრემში აშენებენ, სარდაფის კედლებსა და ჭერს ჰიგიენისთვის კირით ათეთრებენ, რაც შესანიშნავი ანტისექტუკური საშუალებაა სარდაფში მავნე მიკროორგანიზმებისა და ობის გამოშვები სოკოების სანიანალმდეგად. თუმცა, არსებობს ეგრეთ წოდებული „კეთილთვისებიანი ობი“, რომლის გაჩენას სარდაფის კედლებზე ზოგიერთი მეღვინე მიხედვით კიდევს.

ყურძნის კრეფიდან, ვიდრე დაღვინებისა და შენახვის პროცესამდე, ღვინის მწარმოებელმა ყველაფერი უნდა ილიონოს იმისათვის, რათა შეინარჩუნოს ღვინის პოტენციური ხარისხი. ყურძენი იქნება ეს, ტკბილი, დურდო თუ ღვინო, არც ერთ შემთხვევაში არ უნდა დაუმუშავს მათი დაავადება, ზღისა და არასასიამოვნო გემოს წარმოქმნა, მომხმარებლისთვის საშიში ნივთიერებებისა თუ მიკროორგანიზმების გაჩენა. ამისათვის კი საჭიროა, რომ ყურძნის გადაამუშავების ადგილზე მოისპოს ყოველგვარი პათოგენური მიკროორგანიზმებისთვის ხელსაყრელი პირობები, გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ინერტული ჭურჭელი, რომელიც არ დასცემს ღვინის ხარისხს, არ შესძენს მას უსიამოვნო გემოს და არ გაამდიდრებს ღვინოს ჯანმრთელობისთვის მავნე ნივთიერებებით.

საერთოდ, მეღვინეობაში, რაც უფრო ახლოა პროდუქტი საბოლოო სახესთან, მით უფრო მკაცრდება მოთხოვნები ჰიგიენის მიმართ. ჭურჭლის გარეცხვა და დეზინფექცია საჭიროა რთვის დასაწყისში, მისი მიმდინარეობისას და დასასრულს.

ჭურჭლისა და ინვენტარის ტრეცვის ზუსტი, დადგენილი ნორმა არ არსებობს – ტრავა-ჭურჭელი და მევენახეობა-მეღვინეობის ინვენტარი ირეცხება იმდენჯერ და მანამ, სანამ არ მიადგენს სასურველ შედეგს. მარანში მინიმუმამდე უნდა იქნეს დავაინილი გასარეცხად მოუდგომელი და წყლის დაგუბების ადგილები. ჭურჭელს ღვინის ქვა აუცილებლად უნდა მოშორდეს მისი ყოველი დაცარიელების შემთხვევაში.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ძლიერ მოქმედი და ამავე დროს ჭურჭლის მიმართ ინერტული, ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო უნივერსალური სარეცხი საშუალება არ არსებობს, რადგანაც სინთეზის წყარო და მისი ქიმიური ბუნება შეიძლება სხვადასხვა სახისა იყოს, მაგალითად: ორგანული, მინერალური, პირველადი ნედლეულის ნარჩენი ნაწილაკები, მტვერი, და სხვადასხვა საშუაობისაგან დარჩენილი ნარჩენები. აღსანიშნავია, რომ რეცხვადეზინფექციის პროცესი სასურველ ეფექტს მხოლოდ სუფთა გარემოში, სუფთად მუშაობის დროს იძლევა.

საქართველოში ტრადიციისამებრ, საბატიო სტუმარს კარგი ღვინით უმასპინძლებდნენ. კარგი ღვინის დაყენებას კი ცოდნა, გამოცდილება და საქმის სიყვარული სჭირდება. გაითვალისწინეთ ამ სტატიაში მოცემული რეკომენდაციები და თქვენს მიერ დაყენებული ღვინო არ შეგარცხებინო!

„ღვინის უთქვამს, მომარცხ და მოგივლი“ – მხოლოდ გულმოდგინე და ნესიერი მოვლით დგება უზადო და საღი ღვინო!

**გიორგი ბარისაშვილი,**  
ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“

# რას წარმოადგენს ქვეპრის დამლა

დამლა ერთგვარი ნიშანია, რომელსაც მექვევერე თავის ნახელავს პირზე ასვამს გამოწვამდე. უნდა აღინიშნოს, რომ დამლა საქართველოში არა მხოლოდ ქვევერებს, არამედ მეთუენობის სხვა ნაკეთობებსაც უკეთდებოდა, როგორებიცაა: კრამიტი, აგური, თონე, სხვადასხვა ჭურჭელი. თიხის ჭურჭლისათუ სხვა ნაკეთობების დამლებით დანიშნა ჩვენში არქაული დროიდან იღებს სათავეს.

დამლათ ყველაზე დიდი მრავალფეროვნება და სიმრავლე სწორედ ქვევერებზე გვხვდება. განსაკუთრებით კი ჩვენი ისტორიის ბოლო პერიოდის – XIX-XX სს-ში დამზადებულ ქვევერებზე. დამლის საბეჭდავი შესაძლოა დამზადებული იყოს თიხისაგან, რომლებიც უძველესი დროიდან გვხვდება საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე ხისაგან და რკინისაგან. მექვევერე ოსტატი თავის ნახელავს დამლას მაშინ უკეთებს, როდესაც ქვევერის შენება სრულდება და ქვევერის პირი ჯერ კიდევ სველია. ძალზე იშვიათად დამლა გვხვდება არა ქვევერის პირზე, არამედ მის ყელზე და მხრებზეც.

### დამლა – ხარისხის ნიშანი?

ალბათ, საინტერესოა, რა შინაარსია ჩადებული ქვევერის დამლით დანიშნაში. საქმე ისაა, რომ ქვევერის დამლა წარმოადგენს ერთგვარ ხარისხის ნიშანს. ამით მექვევერე ოსტატი აკეთებს განაცხადს იმაზე, რომ მისი ნახელავი არის ხარისხიანი და კონკურენტუნარიანი პროდუქტი, რომელსაც იგი „ხელმოწერით“, ანუ საკუთარი დამლით ადასტურებს. დამლის საბეჭდავი, რომელიც ეკუთვნოდა მექვევერეს, მის შვილზე ან შვილიშვილზე ავტომატურად არამც და არამც არ გადადიოდა, მით უმეტეს, თუ დამლაზე მექვევერის ინიციალები იყო გამოსახული.

ყოველ მექვევერეს თავის ნახელავზე დამლის დასმის უფლება თავადვე უნდა მოეპოვებინა საკუთარი შრომით. მართალია, ქართული ქვევერების უმეტესობას არ გააჩნია არავითარი დამლა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ასეთი ქვევერები უხარისხია.

### წარნაქი და აწონაკანრი

ხშირად ქვევერზე გვხვდება არა საბეჭდავით დასხული დამლა, არამედ წერნაქით შესრულებული წარნაქი, თუმცა არა ქვევერის პირზე, არამედ მის ტანზე. ამგვარი წარნაქები, საკმაოდ იშვიათად, გვხვდება, მაგალითად, ქსნის ხეობაში, კონკრეტულად სოფელ ცხავათში დამზადებულ ქვევერებზე, ეს სოფელი განთქმული იყო ქვევერების დამზადებით (ამჟამად ეს ადგილი ოკუპირებულია). ცხავათურ ქვევერებზე, გარდა იმისა, რომ ისინი უმთავრესად გარედან მთლიანადაა მოხატული, გვხვდება წარნაქებიც, სადაც ვკითხულობთ მექვევერის სახელს, ან ქვევერის გასაყიდ ფასსაც კი.

გარდა წერნაქით შესრულებული წარნაქებისა, ქართულ ქვევერებზე გვხვდებით აწონაკანრი ნიშნულესაც. ამგვარ აწონაკანრებს, როგორც სხვა შემთხვევებში, თავად მექვევერე აკეთებს ქვევერის პირზე. უმთავრეს შემთხვევებში აწონაკანრებით გადმოცემულია მექვევერის ინიციალები ან მისი სახელი და გვარი.

### ქვეპრის დამლაქი დღეს

თუ არ ჩავთვლით მხოლოდ ერთ მექვევერეს სოფ. მაქათუბანში (ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, ზაღლიკო პოპოძე), ქართულ ქვევერებს დღეს დამლები აღარ უკეთდება. არადა ნამდვილად საწყენია, რომ საქართველოში ეს დიდებული ტრადიცია დაინყებას მიეცეს, რადგან, როგორც აღინიშნა, მას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს ქართულ მეთუენობაში.

დღეს საქართველოში დღის წესრიგში დადგა ქვევერების წარმოების აღორძინება და გაფართოება, რადგან ქართულ ქვევერებზე შექმნილმა ღიძმა მითხოვნილებაში შიდა თუ უცხოეთის ბაზარზე ქვევერის, როგორც უნიკალური საღვინე ჭურჭლის დეფიციტი გამოიწვია.

ამიტომაც დიდად სავარაუდოა, რომ ჩვენში ქვევერების წარმოება და ამგვარად შინამრეველობის ეს დარგი ფართო ხასიათს მიიღებს, რაც თავისთავად გამოიწვევს ქვევერის დამლების გაჩენის აუცილებლობასაც. ქვევერზე დამლების დატანის პასუხისმგებელი უნდა იყოს მთავარი მხარეც. კერძოდ, საკითხავია ბოლო პერიოდში დამზადებული ქვევერების ხარისხი, რითაც ხშირ შემთხვევაში ვერ დავიკვივებით.

ზოგიერთ შემთხვევაში ქვევერებს აკლია გამოწვა; ზოგჯერ მათ აქვთ ბზარები, რომლებსაც მექვევერები ცემენტის ხსნარითა და თიხაფხვნილით ნიღბავენ; ზოგჯერ საქვევერე თიხა ალუმინის არაბრადიციული ადგილიდან, რომელიც გამოცდილი არაა; ზოგჯერ საქვევერე თიხა მოტანის შემდეგ არ გადის

# სათანადო დამუშავებას და დახარისხებას და სხვ. თავისთავად ცხადია, რომ მექვევერე, რომელიც ქვევერს სპეციალურად დააკლებს გამოწვას ან საქვევერე თიხას არასათანადოდ დაამუშავებს, შეეცდება თავის ნახელავზე „ხელმოწერა“ არ დატოვოს. სამწუხაროა, მაგრამ ეს დიდი პრობლემაა ქართული შინამრეველების დარგის — მექვევერეობის რეალობაში.

### ქვეპრის დამლაქის სახეობი

ცხადია, საინტერესოა, თუ რა არის გამოსახული ქართული ქვევერების დამლებზე. როგორც თავში აღინიშნა, საქართველოში საქმე გვაქვს დამლების საკმაოდ მრავალფეროვნებასთან. ქვევერის დამლებზე გამოსახულია: მექვევერის ინიციალები; სახელი და გვარი; ცალკეულად მექვევერის ან მხოლოდ სახელი ან მხოლოდ გვარი; ბორჯღალი; ჯვარი; დამზადების წელი; დამზადების ადგილი ან სოფლის შემოკლებული სახელი; რაიმე გეომეტრიული ფიგურა ან ორნამენტი; რაიმე სიმბოლო და სხვ.

მექვევერეთა გვარ-სახელებიდან ქვევერებზე გვხვდება: ისაღორე ჩუბინიძე, სარდიონ ჩუბინიძე, ექვთიმე ჩუბინიძე, იოსებ ჩუბინიძე, სოლომან ჩუბინიძე, ელიზბარ ჩინჩალაძე, ანდრო ხეთისონიძე, თამაზ მალა, ზაქარია ხახიძე, სარიმან კაპანაძე, ივანე კაპანაძე, ლუკა კაპანაძე, დარისპან კაპანაძე, ლევან სძე, თამაზ მალა, ვანო ყორღანაშვილი, ვანო სოზაშვილი, ვასო ყარაულაშვილი, იოანე, კაცია, იონა მათიაშვილი, ილია მათიაშვილი დამლებზე ხშირად ვხვდებით ჯერებსაც, რაც გვაფიქრებინებს, რომ ასეთი ქვევერები საკვლესიო მარნებიდანაა ან მათში საზედაზე ღვინოს აყენებდნენ. თუმცა ჯვარიანი ქვევერები ჩვეულებრივი, ოჯახური ღვინის დასაყენებლადაც გამოიყენებოდა. გვხვდება როგორც ჩვეულებრივი, აროპორციული ჯვრები, ისე შემკული და სტილიზებული ჯვრებიც.

მრავალფეროვნებით გამოირჩევა ასევე სტილიზებული ბორჯღალებიც. ამ მხრივ, და საერთოდ დამლების სიმრავლით კახეთია გამორჩეული. ჩვენს მიერ ამგვარი სტილიზებული ბორჯღალებს ათამდე ვარიანტია მიკვლეული. რაც შეეხება სოფლის დასახლებებს დამლებზე, ამ მხრივ ჯერჯერობით ორი დამლა მოგვეპოვება — „შრომა“ და „ჩხირ“, რომელიც დიდად სავარაუდოა, რომ მექვევერეობით განთქმული სოფლის ჩხიროლას შემოკლებული სახელი იყოს.

ქვევერის დამლებზე ხშირად გვხვდება მექვევერის ინიციალებიც, რომელთა „გაშიფვრაც“ უმეტეს შემთხვევაში არ ხერხდება, მაგალითად: ლ.ნ.თ. 1914, ნ.მ., დ.კ., სოა, ე.მ იყო შემთხვევა, როდესაც ზემო იმერეთის სოფელ ტყემლოვანში ჩვენს მიერ მიკვლეულ იქნა ქვევერის პირის ნატეხი, რომელსაც გააჩნდა ერთადერთი ასო ამონაკანრის სახით — „დ“. როგორც გავარკვევთ, ეს ინიციალი ეკუთვნის ადამ სოფლის მკვიდრს — დავით კაპანაძეს, რომელიც იყო მექვევერე და გასული საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდა ამავე სოფელში. ჩვენს მიერ საინტერესოა, ერთ-ერთ ქართულ ოჯახში აღმოჩენილი ბორჯღალებსა და ასევე ორი ნახევარწრის (ტხენის ნალის) მოყვანილობის დამლები. ძალიან საინტერესოა დამლა აღმოვაჩინეთ სოფელ სპანაში, ტაძრის ეზოში, რომელსაც „სვასტიკოს“ მოყვანილობა ჰქონდა.

### დასკვნის სახით

დამლების არსებობა ქვევერებზე და მათი მრავალფეროვნება მექვევერეობის დარგის განვითარების მალად დღიზე მოუითებეს ჩვენს ქვეყანაში. როგორც აღინიშნა, მექვევერის მიერ თავის ნახელავზე დამლის გაცემა ერთგვარი განაცხადია, რომ ქვევერის გამკვირვანი არის ოსტატი და მას დასამაინი არაფერი აქვს! დამლიანი ქვევერები აღმოსავლეთ საქართველოში და განსაკუთრებით კი კახეთში თითქმის ყველა ოჯახში გვხვდება, თუმცა, სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში ამგვარი ქვევერის ამჟამინდელმა მუპატრონებმა, როგორც წესი, ამის შესახებ არაფერი იციან არადა ამგვარი ქვევერები უკვე რელიქტურა წარმოადგენენ და მათი განსაკუთრებული მოვლა და დაცვა საჭიროა.

თავისთავად ცხადია, ყველასათვის ნათელი იქნება: დამლიანი ქვევერი ავტომატურად იმას არ ნიშნავს, რომ მასში ხარისხიანი ღვინო დადგება. სასურველი იქნება, რომ ქართველ მექვევერებს, ქვევერის შექმნისას თუ სპეციალისას, თითოეული ჩვენგანი შეახსენებს და სთხოვს, რომ მათ თავადაც ალადგინონ ეს მივიწყებული ტრადიცია, რაც მათს საქმიანობას ერთიორად მოუმატებს პრესტიჟს. ეს კი თავის მხრივ უთუოდ დადებითად იმოქმედებს შინამრეველობის ისეთი მნიშვნელოვან დარგზე, როგორც მექვევერეობა.

**გიორგი ბარისაშვილი**  
vinoge.com/Rvinis klubi

# ირაკლი შაიშაშვილის ბასსენება



ჩემო ძვირფასო ძმაო და მეგობარო ირაკლი, სულ რაღაც ორი თვეა რაც ეს წუთისოფელი დატოვე. როგორ გინდოდა სიკოცხლე, მაგრამ სიკვდილი ულმობელია, არავის არ ინდობს, არც დიდს, არც პატარას. 63 წელი არც ისე დიდი დროა ადამიანის სიკოცხლისათვის. ახლა უკვე შენზე მოგონებებით ვცოცხლობთ. ძალიან დაკლები ყველას, სანათესაოს, შენს სამეგობროს. პოეზიაზე უზომოდ შეყვარებული იყავი, მუდამ მოფუსფუსე და საქმიანი. ყოველთვის მოგაგონებენ დისპოლები, დისპოლიმილები, შენს ხელში და შენს თვალშინ გაზრდილები. 20 სექტემბერს 63 წელი შეგისრულდება, მოვალთ შენს საფლავთან და დაგინთებ საწოლებს. არასოდეს არავის დაგინყდები, ფიქრებით და მოგონებებით სულ შენთან ვართ და სიკვდილამდე ასე იქნება. ნათელი ედგეს შენს სამუდამო სასუფეველს.

**ღები, დისპოლები და დისპოლიმილები**

### ირაკლი შაიშაშვილის პოეზიიდან

**გვარი**  
ალბათ დამიტყრებენ, ჩვენი ამორძალენ, მეცხრე ცოდან დარეკენ, მწუხარების ზარები. მძიმედ დაიხურება წუთისოფლის კარები, ირგვლივ დაიბურება, მინას მივეყრები. ქართველების ქვეყანავ, იქაც შენ მეყვარული, ივერიავ კლავდა მისი, ვფიცავ, არ მომწყინდები. მოთას წარმომშობილო, მეყვარე კვლავ გაბრწყინდები, ცაში წერი დაფრინავს, შორეთს ქრინა ქარები, მინდვრად ნიაქარები, ზღვაზე იალქანები, სადღაც მივექანები. გულზე გაჩნდა ბზარები, შუბლზე დროის დარები. გაფრინილი სიკოცხლე, საით მივექანები.

\*\*\*  
ბედმა გამწირა და მიმატოვა, სევდამ და დარდა განმწირა, მშობლებო, როცა მე თქვენიან მოვალ, რაც შენ ნახვედი, დედავ, მარტო ვარ.

# გეგმური აცრები სავალდებულო სდება

პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტმა პირველი მოსმენით განიხილა და მხარი დაუჭირა პროექტს, რომლის მიხედვით, გეგმური აცრები სავალდებულო ხდება.

ცვლილების თაობაზე პროექტის ერთ-ერთმა ავტორმა, კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძემ ისაუბრა. მისი განმარტებით, ცვლილება ორ კანონში შედის და აცრების გეგმური ეროვნული კალენდარი, სავალდებულო გეგმური კალენდარი ხდება.

„წარმოდგენილი კანონპროექტების პრინციპი არის ერთი – მკაფიო გზავნილი გავუგზავნით ჩვენს მოქალაქეებს იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო ძალიან ერთმნიშვნელოვნად აფიქსირებს, რომ ვაქცინაცია არის ერთადერთი უსაფრთხო და ეფექტური მეთოდი, რომ თავიდან ავიცილოთ ისეთი საშიში დაავადებები, რომლებიც ჩვენი შვილების ჯანმრთელობას და სიკოცხლეს ემუქრება. ეს დაავადებებია ნიუელა, შვედური კოკური ინფექციები და ყველა ის დაავადება, რომლებიც გეგმური იმუნისაციის კალენდრით თავიდან აცილებადია“, – განაცხადა აკაკი ზოიძემ.

ინიციატივასთან დაკავშირებით კომიტეტის სხდომაზე მინეულმა პედიატრებმა მოსაზრებები გამოთქვეს და ცვლილებების განხილვაზე მზაობა გამოახატეს. „ჩვენ ინიციატივას მივსალმებით. მაქსიმალურად შევცდებით მის განხორციელებას მხარი დაუჭიროთ. არის შემთხვევები, როდესაც პაციენტის მშობელი უნდობლად მოგვმართავს. მიმართა, რომ მნიშვნელოვანია ვაქცინაციის შესახებ, პირველ ეტაპზე, მშობლების განათლების დონის ამაღლება. კარგი იქნება თუ ამ საკითხში სამინისტროებთან ერთად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიც თუ დაგვემზადება. საკითხი საკმაოდ სენსიტიურია, თუმცა როგორც კი მშობელს სწორედ განმარტება ვაქცინაციის აუცილებლობის მნიშვნელობა, იგი უარს აღარ იტყვის საკუთარი შვილის აცრაზე. ჩვენს ქვეყანას აქვს ყველაზე მაღალი ხარისხის ვაქცინები, აღმოსავლეთ ევროპის ბევრი ქვეყნის კალენდარს უსწრებთ კიდევ და ამის გამოყენებლობა ფაქტობრივად დანაშაულია“, – განაცხადა პედიატრმა თემურ მიქელაძემ.





# თავისუფალი ჭიდაობა



## მსოფლიო ჩემპიონი და ევროპის პრიზიორი ზურაბ იაკობიშვილი ტურნირის ჩემპიონია

საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა 6 მდელით დაასრულა გამოსვლა ვარშავაში, «ციოლოვსკის მემორიალში»:  
3 ოქრო, 2 ვერცხლი და ერთი ბრინჯაო. ჩემპიონები ზურაბ იაკობიშვილი (70), ავთანდილ კენჭაძე (74) და ელიზბარ ოდიკაძე (97) გახდნენ, ვერცხლი ვლადიმერ ხინჩევაშვილსა (65) და დავით ხუციშვილს (79) ერგოთ, მესამეზე კი დავით მარსაგიშვილი (92) გავიდა.

იქამდე ოდიკაძემ ამერიკელი კვირგადსონი მისთვის ჩვეულ სტილში წმინდად გაანადგურა – 11:0, მერე კი იტალიელი ხესუს რუანოვი იმავე სტილში და იმავე ანგარიშით დაამარცხა.

აქვე გეტყვით, რომ ხინჩევაშვილი ფინალში საჭიდაოდ არ გავიდა რუსთა ჩეჩენ ახმედ ჩაკეევთან. მიზეზი წინა დღეს მიღებული ტრავმაა.  
ჩვენი ოლიმპიური და მსოფლიოს, ევროპის სამეზღის ჩემპიონი ფინალამდე დამაჯერებლად მივიდა: მერვედფინალში 5:3 დაამარცხა ჩინელი ჰასიბაგენა ჰასიბაგენა, მეოთხედფინალში საქაოთხი ძლიერი მოლდოველი ანდრეი პერპეტილა 7:2 დაჯაბნა, ნახევარფინალში კი იოლა, 11:0 გაანადგურა ბულგარელი დამიტარ ივანოვი.

ნახევარფინალში ჩვენებურს უნგრეთში გადაბარებული უკრაინელი ევროპის ჩემპიონი პავლო ოლეინიკი არ გამოუცხადდა, ხოლო ფინალში რევანშის სურვილით ანთებული უჩვეულოდ მოტივირებული გავიდა იბრაჰიმოვიან: თავიდანვე ქორივით დააცხრა მეტოქეს და ამოსუთქვის საშუალება არ მისცა, ვიდრე მორიგი წმინდა მოგება არ გაიფორმა: 12:0. ჩვენებურს ამ შეხვედრაში ყველაფერი გამოსდებოდა – ჩოტბეჯენშიც იოლა და ჩაჰყავდა და იქაც ძალზე ადვილად ატრიალებდა.

მსოფლიოს ჩემპიონმა და ევროპის პრიზიორმა იაკობიშვილმაც აღმაფლობით ჩაატარა მთელი ტურნირი და ნამდვილად კარგი სტარტი გამოუვიდა.  
საკვალიფიკაციო ეტაპზე 11:1 მოუგო ჩინელ არიკენ ალიხიასტის, მერე კი ყაზახებს დაერია: მეოთხედფინალში 7:1 მოუგო გამოცდილ დაურენ ჟუმბაგაევიცს, ნახევარფინალში მისი თანაგუნდელი მაირჟან აშიროვი 4:1 ჩამოიცილა, ფინალში კი ამანდო ბაკიევიცმა ქვა ქვაზე არ დატოვა და 12:2 მოუგო.

როგორც გითხარით, ეს ტურნირი ჩვენი ნაკრებისთვის სასტარტო იყო, მაგრამ ორ წონაში შესარჩევად გახლდათ და იქ მთავარ მწვრთნელ გიორგი იანტბელიძეს რამდენიმე კანდიდატი ჰყავდა ნაყვანილი: 79-ში 3 კაცი ჭიდაობდა, 92-ში – ორი. მისმა შეგირდებმა ორივე წონაში მედალი მოიპოვეს, მაგრამ არ ვიცით, რას გადაწყვიტავს ინტბელიძე, ისე კი ამ შედეგებმა თავდაყირა დააყენეს ყველა აღრინდელი გამოსვლა.

იაკობიშვილმა ფინალური პაექრობაც ჩვეულად, შემტევ სტილში და აღმაფლობით ჩაატარა ბაკიევიცთან, თუმცა კი თავიდან 0:2 ჩამორჩა: იაკობიშვილის ერთ-ერთი დადებითი თვისება ისაა, რომ ჩამორჩენა კონცენტრაციას არ უკარგავს. მართალია, პირველ პერიოდში მეტოქეს ვერაფერი მოუხერხა, მაგრამ მეორეში საოცრად მობილიზებული დაბრუნდა ხალჩაზე, ყაზახს ნამდვილი შტურმი მოუხერხა და 12 უპასუხო ქულა აარიოვა. მთლიანობაში, ჩვენმა მსოფლიოს ჩემპიონმა კარგი მომზადება გამოავლინა, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ვარშავაში არ შეხვედრია თავის ძირითად კონკურენტებს.

79-ში მოულოდნელ სულაც იმიტომ, რომ ხუციშვილმა 86 კილოგრამიდან დაიკლო. არადა, ამ წონის ლიდერებად შეგულბული ევროპის მესამე პრიზიორი იაკობიშვილი და ახალგაზრდა ნიკოლოზ კენჭაძე პირველივე შეხვედრებში დამარცხდნენ, ხუციშვილმა კი მიყოლებით სძლია ფრანგ ჟონი ჟუსტ ბურს – 6:0, ბულგარულ ენგინ რაშიდ ისმაილს – 11:0 და ყაზახს საკენ აიტყვანოს – 3:0.

პოლონეთში კენჭაძეც მხოლოდ ყაზახებს შეხვდა: ფინალამდე სამი შეხვედრა მოიგო და სამივე – მათთან. მან დაწინაურა კაისანოვს 12:5 სძლია, ბოლაც საკიევის – 10:3, ნურლან ბეჟენოვს კი 5:0 მოუგო. ფინალში მისი ჩინელი ვეი ვუ იყო, ვინც ოდნავადაც ვერ გამოდგა ჩვენებურის ტოლ-წონი – 12:1 მოუგო. მოსაგებად ჩვენებურმა ძალიან მარტივი გზა აირჩია – ფეხიდან აპყავდა და აგდებდა მეტოქეს. ქულები ძირითადად ამ ხერხით მოიპოვა.

ფინალში ჩვენებური, ცოტა არ იყოს, დათრგუნული გავიდა რუს მაგომედ რამანოვთან საჭიდაოდ. შედეგად, ვერც ჯეროვანი წინააღმდეგობა გაუწია და 0:5-ზე მეტოქემ სულაც ბეჭეტზე დადო. ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ ციკლში ირაკლი მწითურმა რამდენჯერმე პირადი შეხვედრა მოუგო მარსაგიშვილს და კონტენტის პირველობაზეც ის ნაყვანია.

პოლონეთში კენჭაძეც მხოლოდ ყაზახებს შეხვდა: ფინალამდე სამი შეხვედრა მოიგო და სამივე – მათთან. მან დაწინაურა კაისანოვს 12:5 სძლია, ბოლაც საკიევის – 10:3, ნურლან ბეჟენოვს კი 5:0 მოუგო. ფინალში მისი ჩინელი ვეი ვუ იყო, ვინც ოდნავადაც ვერ გამოდგა ჩვენებურის ტოლ-წონი – 12:1 მოუგო. მოსაგებად ჩვენებურმა ძალიან მარტივი გზა აირჩია – ფეხიდან აპყავდა და აგდებდა მეტოქეს. ქულები ძირითადად ამ ხერხით მოიპოვა.

ვარშავაში პირველივე წრეში – მეოთხედფინალში შეხვედრის ერთმანეთს და ამჯერად მარსაგიშვილმა დამაჯერებლად მოუგო მწითურს – 5:0. მან უფრო გამოცდილების ხარჯზე აჯობა, მაგრამ კლასითაც დაჯაბნა.  
თუმცა, ვფიქრობთ, მარსაგიშვილის მიზუსად კვლავაც რჩება ფსიქოლოგია და ხასიათი: მომდევნო პაექრობა 5:10 დათმო რუს ბატჩიბეკ ცაკულაოვიანს. ვეფეობთ, რომ არა რუსი, ის ამ ეტაპსაც გაივიდა. ყოველ შემთხვევაში, ბრინჯაოსთვის პაექრობაში ყაზახი იერალი აბდრაშვიტი ასევე სოლიდური უპირატესობით, 10:5 დაჯაბნა.

**ირაკლი თავაძე**  
ყოველდღიური სპორტული გაზეთი „ლელო“

# ხელბურთელ გოგონათა მეოთხე წარმატება

ქალაქ ბათუმში 31 აგვისტოდან სამი სექტემბრის ჩათვლით ჩატარდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი „პოლიას“ ხელბურთში ქალთა გუნდებს შორის, სადაც შესანიშნავად გამოვიდა ყვარლის სასპორტო სკოლის ხელბურთელ გოგონათა ნაკრები გუნდი. მათ თანამიმდევრულად დაამარცხეს ბათუმის, ფოთის, წყალტუბოს და აჭარის ნაკრები გუნდები და ზედიზედ მეოთხედ მოიპოვეს ჩემპიონის ტიტული.



ხელბურთის სპეციალისტებმა და მკურნებებმა ერთხმად აღნიშნეს თნიკო ქიტესაშვილის, თამთა თეთრაშვილის, მარი მიხელიძის, ნათია ამონაშვილის, ანი სურამლიშვილის, მარიამ თავლორაშვილის, თამარ იობაშვილის და მარი სმოიანის შესანიშნავი თამაში. (მწვრთნელები: ზურაბ ხარებაშვილი, გოჩა ღონიაშვილი). გილოცავთ ჩვენი სახელოვანო ქალბატონებს, გისურვებთ უფლებ წარმატებებს სპორტშიც და ცხოვრების ძნელად საველ გზაზეც.

ალექო ძაზიანიძე

# დანსდება თუ არა ფორმები სკოლებში და რა უნდა გააკეთოს მოსწავლეები

სასკოლო ფორმები თითქოს საბჭოთა ეპოქას გაჰყვა უკან. დღეს ბიჭებიცა და გოგონებიც სკოლაში ნასვლამდე სარკის წინ საგულდაგულოდ ემზადებიან და ორიგინალურად ჩაცმისთვის ფანტაზიასა თუ ოჯახის ბიუჯეტს არ იშურებენ. მშობლების უმეტესობას კი უჭირს მოზარდის გემოვნების დაკმაყოფილება და ამიტომაც ბევრი დედა სკოლაში ფორმების შემოღების მომხრეა. კერძო სკოლებში, ძირითადად, კვლავ ფორმით სარგულს ითხოვენ.



მშობელთა მეორე ნაწილი კი ამ იდეას შორეულ საბჭოეთში დაბრუნებასთან აიგივებს და სკოლის ფორმების კატეგორიული წინააღმდეგობა, თუმცა მათ ავინწყდებათ, რომ მსოფლიოს ბევრ ცნობილ სკოლაში მოსწავლეთა ჩაცმულობას შეკრდა აკონტროლებენ და სხვადასხვა ასაკისა თუ სეზონის შესაბამისი უნიფორმები აქვთ. მაგალითად, კემბრიჯის საშუალო სკოლაში შემოღებული არცერთი არამხოლოდ ტანსაცმელებზე, არამედ ფეხსაცმელებზეც მოსწავლეებს სპორტული ფეხსაცმელებისა და სანდლების ჩაცმა, ნინდების გარეშე, ეკრძალებათ.

„პირველსკოლები ფორმას პირველი კლასიდან ატარებენ. ეს ხაზს უსვამს მათ მონეტრიზებულობას, დისციპლინას და თვითმყოფადობას. ერთნაირად ჩაცმული ბავშვები კარგი სანახაია და ამბედროსად, არ ინევეს ბავშვებს შორის შურს. ყოველთვის ზუსტად იცი, რა უნდა ჩააცვა სკოლაში მიმავალ ბავშვს, თუმცა, რაც დრო გადის, თვითონ ბავშვს, განსაკუთრებით გოგონას, უჩნდება სურვილი, უფრო განსხვავებულად გამოიყურებოდეს. რამდენად გვეყოფა ნებისყოფა ბოლომდე ვატაროთ ფორმა, ეს დროის საკითხია. დიდიხანა ითხოვს, გამკაცრდეს მალა კლასებთან მიმართებაში ფორმების საკითხი“, – ამბობს მშობელი.

„თუ მშობელს სკოლაში ფორმების შემოღების სურვილი აქვს, შეუძლია სამეურვეო საბჭოს მიმართოს. საბჭოში შედის ყველა საფეხურის მოსწავლის მშობელი, როგორც მშობელთა წარმომადგენელი. ასევე, შეუძლიათ მიმართონ ადმინისტრაციას. ისინი განიხილავენ შემოთავაზებას და გადაწყვეტილებას ერთობლივად მიიღებენ“, – ამბობს ეროვნული სასწავლო გეგმების სამმართველოს უფროსი მარიამ ჩიქობავა.

მარიამ ალიაშვილი  
mshoblebi.ge

# გოგონები ფორმების დაბრუნებას ემხრობიან

რა უპირატესობა აქვს სასკოლო ფორმას  
თითქმის 20 წელია სახელმწიფო სკოლებში სასკოლო ფორმის ტარებას აღარ ითხოვენ. სამაგიეროდ, კერძო სკოლები ისევ ავალდებულებენ მოსწავლეებს ფორმით სარგულს. ფიქრობენ, რომ სკოლის იმიჯისთვის ეს ბევრის მომცემია. რამდენად აქტუალურია დღეს სასკოლო ფორმა და მისაღები იქნებოდა თუ არა ეს ტრადიცია დღევანდელი მოსწავლეების მშობლებისთვის? ამ თემაზე საიტმა mshoblebi.ge-მ გამოკითხვა ჩაატარა. როგორც აღმოჩნდა, ძალიან ბევრი მშობელი ემხრობა მოსწავლის ფორმით სარგულს.



**უპირატესობა:**  
1. არც მშობლები და არც ბავშვს ყოველდღიურად არ უნებთ ზრუნვა იმაზე, რა ჩაიცვას მოსწავლემ სკოლაში.  
2. იზოგება თანხა ყოველდღიურ ტანსაცმელზე. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უმცროსკლასელთა მშობლებისთვის, რადგან პატარებს უფრო მეტი ტანსაცმელი სჭირდებათ.  
3. აღარ დგას კლასში კარგად და ცუდად ჩაცმული ბავშვების პრობლემა. შესაბამისად, სოციალური განსხვავებაც ნაკლებად შესამჩნევია. ეს „დაჩაგრულებს“ კომპლექსებისგან იცავს.  
4. ფორმა ასოცირდება წესრიგთან, რაც ბავშვებს სწავლისადმი უფრო სერიოზულ დამოკიდებულებას უჩენს.

5. ბავშვს უნდა ჰქონდეს სკოლაში სასაირაო და საგარეო სამოსი და უნდა ეტყობოდეს, როდის სწავლობს და როდის ერთობა ან მიდის სადმე სხვაგან.

**ნაკლოვნებები:**  
1. სასკოლო ფორმასაც თავისი ხარვეზები სჭირდება, სამაგიეროდ, ამ სახოს სკოლის გარდა ვერსად გამოიყენებ.  
2. შეზღუდვა და ნორმების დანესება გარკვეულ პროტესტს უჩენს მოზარდ მოსწავლეებს.  
3. ფორმის ტანსაცმელში დომინირებს თეთრი ფერი. ამ ფერის მაისურების მოვლა კი მშობლებს დიდ ძალისხმევად უჯდება.  
ფორმების აღდგენის მსურველი აშკარად მეტია, უპირატესობებიც ჭარბობს... იქნებ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო დაფიქრებულიყო ამ თემაზე. ოღონდ ისე არა, რომ ამ ფორმების შექმნა მთელი წლის საარსებო მინიმუმი დაუფეროს ოჯახს. ნუ დაავალდებულებთ, რომ მაინცდამაინც „ამა და ამ“ ატყვიან შეკერილი კომპლექტი შეიძინოს. ხომ შეიძლება, ზედმეტი თავსატეხების გარეშე უზრალოდ, გაეუმარტოთ მშობლებს ცხოვრება.  
mshoblebi.ge

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად ავებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი  
ალექსანდრა გიგილოშვილი  
მონადგლე  
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი  
ია გიგიაშვილი  
კორესპონდენტი  
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:  
ქ. ვაჟა-ფშაველას, კუდიშვილის №2  
საკონტაქტო ტელეფონი:  
22-01-86